ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3547885

ნომერი: AR1539428

თარიღი : 11.09.2017

გაცემის თარიღი : 02.10.2017

გაცნობის თარიღი : 02.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ქუჩა სტრაბონი , N22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

11 სექტემბრის №AR1539428 განცხადებით მომართა მოქ. თამაზი მურვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანებით შეტანილ იქნას ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა: საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.672, განცხადების ნომერი: 882017490293 მომზადების თარიღი: 09/06/2017 ფართობი: 999 კვ.მ;) საკადასტრო კოდად დაფიქსირდა: N01.72.14.040.672, ფართობად 999 კვ.მ..
ასევე დადგენილია ფაქტია, რომ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკივდა, ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.72.14.040.269, მრავალბინიანიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ამავე ბრძანების მე-2 პუნქტში შეცდომითაა დაფიქსირებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბრძანების რეკვიზიტები.
სამსახურმა 2017 წლის 11 სექტემბრის №AR1539428 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა სამსახურის 2013 წლის 15 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს და 2013 წლის 15 მაისის №660898 ბრძანებით შეტანილ ცვლილებას და დაადგინა, მართლაც 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანების თანდართული ფაილი შეცდომითაა მითითებული. ნაცვლად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 აგვისტოს N1-1710 ბრძანებისა, ამავე ბრძანებას დანართის სახით უნდა დაემატოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 აგვისტოს N1-1744 ბრძანება. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ამავე ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მაისის №660898 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 აგვისტოს N1-1744 ბრძანება.''
2. სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანებას დანართის სახით დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 აგვისტოს N1-1744 ბრძანება.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 აგვისტოს №3406312 ბრძანებასთან და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 მაისის №660898 გადაწყვეტილებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.